ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 51

“20” თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. №01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. 01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის №24.250.287 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ. 404614681) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების (№49, 9.02.2021) და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების (№344; №306; 16.07.2022; 30.06.2023) ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.17.13.038.024) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული“ კოეფიციენტის სახით, მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.17.13.038.024, №01.17.13.038.042, №01.17.13.038.041; №01.17.13.038.040 №01.17.13.038.049, №01.17.13.038.047, №01.17.13.038.048, №01.17.13.038.057) გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მეათედი დამრგვალების სიზუსტით დაანგარიშების პრინციპიდან გამომდინარე და განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.812-ით;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები (№49, 9.02.2021) და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები (№344; №306; 16.07.2022; 30.06.2023) დარჩეს უცვლელი. ამასთან, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები გავრცელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის ნაკვეთიდან - ს/კ. №01.17.13.038.024 გადანაწილებული/გადატანილი სამშენებლო მოცულობის ფარგლებში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე